150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

26 / აპრილი / 2023 წ.

KA020173637498523

№ **22/2979**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე 222810 $მ^3$ ღორღის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 53920/45835).

ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 5 წლის ვადით, ხოლო 5 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 222810 $მ^3$-ს, წელიწადში საშუალოდ 44562 $მ^3$-ს. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 44562 $მ^3$-ზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 300-370 მ. სიმაღლეზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიაზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტის I უბნიდან 230 მეტრში და II უბნიდან 220 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე